დანართი No. 3

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული
და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

ქართული და აფხაზური ენა და ლიტერატურა
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 13.5.2026.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 6. 7. 2026.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიჰადა დელიბეგოვიჩ ძანიჩი, ტუზლას უნივერსიტეტი, ბოსნია და ჰერცეგოვინა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა ჩუბინიძე, ნიუტონის თავისუფალი სკოლა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შალვა მხეიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ქართული და აფხაზური ენა და ლიტერატურა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	**Georgian and Abkhazian Language and Literature**
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	**ბაკალავრიატი**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[1]	**ფილოლოგიის ბაკალავრი**
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	**0232 ენები**
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[2]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	198
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

[1]უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[2]მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის
შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა „ქართული და აფხაზური ენა და ლიტერატურა" არის ინტერდისციპლინური პროგრამა ფილოლოგიის მიმართულებით რომელიც მიზნად ისახავს ქართული და აფხაზური ენათმეცნიერების, ლიტერატურისა და კულტურის ფართო ცოდნით აღჭურვილი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. პროგრამის მიზანია, რომ კურსდამთავრებულს ჰქონდეს შესაბამისი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული ენობრივი და ანალიტიკური უნარები, სამეცნიერო კვლევის კომპეტენციები და ინტერკულტურული ცნობიერება, რაც მათ საშუალებას მისცემს გახდნენ კონკურენტუნარიანი პროფესიონალები, ეთიკურად პასუხისმგებელი და სოციალურად ჩართულნი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აფხაზური ენისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას, აგრეთვე, ქართულ-აფხაზური ინტერკულტურული დიალოგისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობას. პროგრამა სტუდენტებს აძლევს ფართო ცოდნას ქართული და აფხაზური ენების, ენათმეცნიერების, ფოლკლორისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით, ამასთანავე, უვითარებს მათ ლინგვისტური და ლიტერატურული ანალიზის, ინტერპრეტაციის, კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური კვლევის კომპეტენციებს. სტუდენტები იძენენ აფხაზური ენის საკომუნიკაციო კომპეტენციას A2 დონეზე, ენების საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად, და ეცნობიან ქართულ და აფხაზურ ლიტერატურულ პროცესებს, ფართო კულტურულ და ისტორიულ კონტექსტში. ფილოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციის მისანიჭებლად, სტუდენტმა უნდა დააგროვოს 198 ECTS კრედიტი, მათ შორის 24 ECTS თავისუფალი სავალდებულო კურსებიდან, ხოლო 174 ECTS ძირითადი სწავლის სფეროდან, რომელიც მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით კურსებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 13 მაისს, ჰიბრიდული ფორმატით. უსდ-ში, ადგილზე იმყოფებოდნენ ქართველი ექსპერტები, ხოლო თავმჯდომარე პროცესში ონლაინ მონაწილეობდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ მოწოდებული Zoom-ის ბმულის საშუალებით. 2026 წლის 11 მაისს, ექსპერტთა ჯგუფმა გამართა მოსამზადებელი შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთან. აღნიშნული შეხვედრის დროს განხილულ იქნა და სათანადოდ დაზუსტდა შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები. ექსპერტთა ჯგუფის მუშაობას მხარს უჭერდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, რომელიც აკრედიტაციის ვიზიტის დროს ფიზიკურად იმყოფებოდა უნივერსიტეტში. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ასევე უზრუნველყო შეფასების პროცესის თარგმანი. ექსპერტთა ჯგუფი და კერძოდ, თავმჯდომარე მადლობას უხდის ყველა იმ პირს, ვინც ჩართული იყო აკრედიტაციის ვიზიტის მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს, რომლებმაც მთელი პროცესი შეუფერხებლად წარმართეს. შეფასების პროცესის განმავლობაში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები მხარს უჭერდნენ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. . ანგარიში მომზადდა მთელი გუნდის ერთობლივი მუშაობის შედეგად, ხოლო კომენტარებსა და შეფასებებზე საერთო კონსენსუსის

მისაღწევად, გაიმართა რამდენიმე ონლაინ შეხვედრა. ჯგუფის თავმჯდომარე მადლობას უხდის მთელ გუნდს, მათი აქტიური და ეფექტური მონაწილეობისთვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობას, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამა შეესაბამება ხარისხის დადგენილ მოთხოვნებს. პირველი სტანდარტის ფარგლებში, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო მთლიანი სტანდარტი, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული აკადემიური კურსების სტრუქტურა და შინაარსი, შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება მთლიანობაში შეფასებულია როგორც „სრულად შესაბამისი“: სრული შესაბამისობა დადგინდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში, სწავლება-სწავლის მეთოდებში, პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარების მხრივ, ხოლო სტუდენტების შეფასების პროცედურები შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“. სტუდენტთა მიღწევებთან დაკავშირებული სტანდარტი, მათ შორის საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები, შეფასებულია სრულ შესაბამისობად. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა, მათ შორის ადამიანური რესურსი, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება, მატერიალური რესურსი და ფინანსური მდგრადობა, სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. და ბოლოს, სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებული ყველა კომპონენტი, მათ შორის შიდა და გარე ხარისხის შეფასება, პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, რაც ადასტურებს პროგრამის მიდგომას უწყვეტი გაუმჯობესებისა და ხარისხის უზრუნველყოფისადმი.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსებს: აფხაზური ენა 1 და აფხაზური ენა 2 გადაერქვას სახელი და დაერქვას აფხაზური ენის გრამატიკა 1 და აფხაზური ენის გრამატიკა 2. (კომპონენტი 1.4)
2. რეკომენდებულია, რომ უსდ-მ გადახედოს პროგრამის სახელწოდებას. პროგრამის სახელწოდება - ქართული და აფხაზური ენა და ლიტერატურა - საჭიროებს გარკვეულ დაზუსტებას, მათ შორის ინგლისურ ენაზეც. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უმჯობესია პროგრამას ეწოდოს ქართული და აფხაზური ფილოლოგია, განსაკუთრებით იმის გარემოების გათვალისწინებით, რომ პროგრამა ანიჭებს ფილოლოგიის ბაკალავრის ხარისხს. ასევე, შესაძლებელია, პროგრამას ეწოდოს - ქართული და აფხაზური ენები და ლიტერატურა. (კომპონენტი 1.4)
3. რეკომენდებულია, რომ სახელმწიფო ენის კურსის შინაარსში, სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ქართული ენის საკითხებთან ერთად, აისახოს აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე აფხაზური ენის საკითხებიც. (კომპონენტი 1.5)
4. რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსში „ქართული და აფხაზური ფოლკლორი" გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ამავე კურსის ლიტერატურასა და საგნობრივ შინაარსში შეტანილ იქნას აფხაზური ნართული ეპოსი „ამბავი ნართებისა". (კომპონენტი 1.5)

5. რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს სტანდარტიზებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტისთვის შუალედურ და დასკვნით შეფასებებზე დროული და ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდებას, ყველა სასწავლო კურსის ფარგლებში. (კომპონენტი 2.4)
6. რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენების ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო პრინციპები, მის მოქმედ აკადემიური კეთილსინდისიერების ჩარჩოში. (კომპონენტი 2.4)

- **რჩევები**

1. სასურველია, რომ უსდ-მ შექმნას არაფორმალური განათლების, სტუდენტთა მობილობის, კვლევებში მონაწილეობისა და ინტერდისციპლინური სწავლების შესაძლებლობები, განსაკუთრებით ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულებით. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტების კონკურენტუნარიანობის ზრდას და სწავლის დასრულების შემდეგ, გააფართოებს მათი დასაქმების შესაძლებლობებს.(კომპონენტი 1.1)
2. სასურველია, დაინტერესებული მხარეების მეტად ჩართულობა სწავლის შედეგების შემუშავებისა და გადახედვის პროცესში, უფრო ფართო წრისგან მოსაზრებების მიღების მიზნით. ასევე, სასურველია, ყურადღება დაეთმოს დაინტერესებული მხარეებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნებისა და მისაღწევი შედეგების შესახებ ერთიან, საერთო გაგებას. (კომპონენტი 1.2)
3. სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ კიდევ უფრო გააძლიეროს და სისტემატიზაცია გაუკეთოს იმ მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება გარე დაინტერესებული მხარეებისთვის სწავლის შედეგების შეფასების შედეგებისა და ანალიზის გასაცნობად. (კომპონენტი 1.3)
4. სასურველია, სამეცნიერო ნაშრომების შესრულების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს ციტირების საერთაშორისო სტანდარტებს. (კომპონენტი 2.2)
5. სასურველია, უსდ -ს ძირითადი ლინგვისტური კურსების შეფასების სტრუქტურაში ინტეგრირდეს ფორმალური კვლევითი კომპონენტი (მაგალითად, მოკლე საკურსო ნაშრომი, ლიტერატურის მიმოხილვა ან ანალიტიკური პრეზენტაცია). (კომპონენტი 2.3)
6. სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დანერგოს სტუდენტთა შეფასებების გასაჩივრების ისეთი მექანიზმი, რომელიც რეალურად და ეფექტიანად უზრუნველყოფს მისი დანიშნულების შესრულებას. (კომპონენტი 2.4)
7. სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს ფუნქციური, სისტემური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასების ანალიზის შედეგების აქტიურ გამოყენებას საგანმანათლებლო პროგრამების განახლების, დახვეწისა და უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.(კომპონენტი 2.4)

8. სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიტანოს ცვლილებები სასწავლო პროცესის რეგულაციებში და დაამატოს ელექტრონული და დისტანციური სწავლების პირობებში სტუდენტთა შეფასებისთვის კონკრეტული და ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო პრინციპები. (კომპონენტი 2.4)

9. სასურველია, ფაკულტეტმა შემოიღოს სასწავლო პროცესის მენეჯერის ან კოორდინატორის პოზიცია. (კომპონენტი 3.1)
10. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გრძელვადიანი საკადრო პოლიტიკის დაგეგმვის მექანიზმები აფხაზური ენისა და ფილოლოგიის მიმართულებით, შეზღუდული რაოდენობის უფროს სპეციალისტებზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით.(კომპონენტი 4.1)
11. სასურველია, აფხაზური ენის ცენტრის ახალგაზრდა მკვლევართა და ახალგაზრდა სპეციალისტთა უფრო აქტიური ჩართვა სწავლების პრაქტიკაში, თანასწავლებაში, კურიკულუმის განხორციელებასა და სტუდენტთა ზედამხედველობის პროცესში, რათა ხელი შეეწყოს აკადემიური და პედაგოგიური გამოცდილების ეტაპობრივ გადაცემას.(კომპონენტი 4.1)
12. სასურველია, უნივერსიტეტმა განავითაროს უფრო სისტემური და გრძელვადიანი მექანიზმები აფხაზური და ქართული ფილოლოგიის მიმართულებით, მომავალი აკადემიური პერსონალის მომზადების მიზნით, განსაკუთრებით მოქმედი საგანმანათლებლო ჩარჩოს პირობებში, როდესაც აღნიშნული მიმართულებით სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები აღარ ხორციელდება.(კომპონენტი 4.1)
13. სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს ისეთი მექანიზმების გაძლიერება, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტების მეტად ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში. (კომპონენტი 4.3)

14. სასურველია, ელექტრონული სასწავლო რესურსები გახდეს მეტად ხელმისაწვდომი და საავტორო უფლებების რეგულაციების შესაბამისად, გაგრძელდეს სასწავლო მასალების გაციფრულება. ასევე, გაუმჯობესდეს ელექტრონული რესურსებისა და მონაცემთა ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებული სტატისტიკური ანგარიშგების ანალიტიკური ხარისხი და სპეციფიკურობა, რათა უკეთ შეფასდეს მათი ეფექტიანობა და გავლენა საგანმანათლებლო პროცესზე. (კომპონენტი 4.4)
15. სასურველია, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებისა და ელექტრონული რესურსების ფაქტობრივი გამოყენების მონიტორინგისა და ანალიზის უფრო მკაფიო მექანიზმების შემუშავება.(კომპონენტი 4.4)
16. სასურველია, გაამლიეროთ საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების, მათ შორის Scopus-ის და მსგავსი პლატფორმების ინტეგრაცია სასწავლო და კვლევით პროცესებში.(კომპონენტი 4.4)
17. სასურველია, სტუდენტებისთვის საერთაშორისო აკადემიური მონაცემთა ბაზების, ელექტრონული კატალოგებისა და კვლევითი ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ დამატებითი სასწავლო სესიებისა და პრაქტიკული სემინარების ორგანიზება, რაც

კიდევ უფრო გააძლიერებს სტუდენტების კვლევით კომპეტენციებსა და აკადემიურ წიგნიერებას.(კომპონენტი 4.4)

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული აკრედიტაციის დასკვნის პროექტის შინაარსს, რომელიც წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ყველა რეკომენდაცია. წინამდებარე დოკუმენტში თავდაპირველად წარმოდგენილია ყველა რეკომენდაცია, რის შემდეგაც მოცემულია უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია და დამატებითი განმარტება მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსებს: აფხაზური ენა 1 და აფხაზური ენა 2 გადაერქვას სახელი და დაერქვას აფხაზური ენის გრამატიკა 1 და აფხაზური ენის გრამატიკა 2. (კომპონენტი 1.4)

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია: პირველ რეკომენდაციას სასწავლო კურსის დასახელების ცვლილებასთან დაკავშირებით **ვეთანხმებით** და შევიტანეთ ცვლილება პროგრამის სტრუქტურასა და სასწავლო კურსებში: ნაცვლად აფხაზური ენა 1 და აფხაზური ენა 2, სასწავლო კურსებს დაერქვა **აფხაზური ენის გრამატიკა 1 და აფხაზური ენის გრამატიკა 2.** (კომპონენტი 1.4). (იხ. სილაბუსები და პროგრამა);

2. რეკომენდებულია, რომ უსდ-მ გადახედოს პროგრამის სახელწოდებას. პროგრამის სახელწოდება - ქართული და აფხაზური ენა და ლიტერატურა - საჭიროებს გარკვეულ დაზუსტებას, მათ შორის ინგლისურ ენაზეც. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უმჯობესია პროგრამას ეწოდოს ქართული და აფხაზური ფილოლოგია, განსაკუთრებით იმის გარემოების გათვალისწინებით, რომ პროგრამა ანიჭებს ფილოლოგიის ბაკალავრის ხარისხს. ასევე, შესაძლებელია, პროგრამას ეწოდოს - ქართული და აფხაზური ენები და ლიტერატურა. (კომპონენტი 1.4)

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას და თანხმდება

[3]პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეთავაზებული პროგრამის სახელწოდების მიღებას, რომლის ამოქმედებაც დამოკიდებული იქნება აკრედიტაციის საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია: რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, გადაიხედოს პროგრამის სახელწოდება: ქართული და აფხაზური ენა და ლიტერატურა, მათ შორის ინგლისურ ენაზეც. **ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ** პროგრამას გადაერქვას სახელწოდება და შევჯერდეთ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ პირველ ვარიანტზე - **ქართული და აფხაზური ფილოლოგია/ Georgian and Abkhazian Philology**. ამ საკითხთან დაკავშირებით მოგახსენებთ იმ გარემოებას, რაც უძღოდა წინ ამ პროგრამის შექმნის პროცესს. ამ პროგრამის შექმნა განპირობებული იყო უმაღლესი განათლების რეფორმისა და კონცეფციის ფარგლებში დადგენილ ახალ მოთხოვნებთან მიმართებით და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის წარმომადგენლები რექტორის ხელმძღვანელობით გახლდათ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამართულ კონსულტაციებზე, სადაც ერთ-ერთ საკითხად განიხილებოდა პროგრამის სახელწოდების საკითხი, ჩვენი მხრიდან შეთავაზებული 5 ვარიანტიდან ერთ-ერთ ვარიანტად შეთავაზებული იყო ეს სახელწოდებაც, რასაც ექსპერტები გვთავაზობენ, თუმცა საბოლოოდ გადაწყდა პროგრამის სახელწოდების ის ვარიანტი, რაც წარვადგინეთ აკრედიტაციაზე. აქედან გამომდინარე, დაველოდებით საბოლოო გადაწყვეტილებას. (კომპონენტი 1.4)

3. რეკომენდებულია, რომ სახელმწიფო ენის კურსის შინაარსში, სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ქართული ენის საკითხებთან ერთად, აისახოს აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე აფხაზური ენის საკითხებიც. (კომპონენტი 1.5)

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია: მესამე რეკომენდაცია ეხებოდა სახელმწიფო ენის კურსს, სადაც სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ქართული ენის საკითხებთან ერთად ექსპერტები ითხოვენ აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე აფხაზური ენის საკითხების ასახვასაც. (კომპონენტი 1.5). ამასთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი შედგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 12 აგვისტოს 65/ნ ბრძანების თანახმად (სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის გავლის წესის

დამტკიცების შესახებ), სადაც ამავე ბრძანების მე-2 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გაიწერა სახელმწიფო ენის (ქართულის) სპეციალური კურსის თემატიკა და შინაარსი:

ა) ზოგადი ნაწილი. ქართულ ენასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები. ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია. ქართული დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების ისტორია;

ბ) სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრობლემები. რა არის სალიტერატურო ენის ნორმა? რა იწვევს ნორმათა დარღვევას? ნორმირების მნიშვნელობა, პრინციპები, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმები;

გ) სტილისტიკა. სტილისტიკის საგანი. ქართული ენის ფუნქციური სტილის საკითხები (სამეცნიერო, მხატვრული, პუბლიცისტური, საკანონმდებლო, სასაუბრო სტილები, მათი სპეციფიკა); პრაქტიკული სტილისტიკის ძირითადი საკითხები;

დ) ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია. ტერმინთშემოქმედება, დარგობრივი ტერმინოლოგიის საკითხები.

აღნიშნული სასწავლო კურსი წარმოადგენს საუნივერსიტეტო სასწავლო კურსს და ისწავლება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ ყველა საბაკალავრო პროგრამაში.

ვეთანხმებით ექსპერტებს იმ ნაწილში, რომ აღნიშნულ მინისტრის ბრძანებაში ამავე მუხლში ცალკე მე-3 პუნქტში გაწერილია აფხაზური ენის სპეციალური კურსის შესახებ განმარტება და შინაარსი, თუმცა დაკონკრეტებულია, რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სავალდებულოა აგრეთვე აფხაზური ენის სპეციალური კურსის არსებობა. ამ მიზეზით არ შესულა აფხაზური ენის საკითხები აღნიშნულ სილაბუსში, თუმცა ჩვენ დავეთანხმეთ ექსპერტებს და აღნიშნულ სილაბუსში შევიტანეთ ცვლილებები და დავამატეთ აფხაზური ენის საკითხები **მხოლოდ ამ პროგრამისთვის**

(იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახი (აფხაზურ-ადიღეური ენების ზოგადი მიმოხილვა), აფხაზური დამწერლობა, აფხაზური ანბანის ისტორია, შესაბამისად, სავალდებულო ლიტერატურაში დაემატა ერთი სახელმძღვანელო- თეიმურაზ გვანცელაძე. აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება.2011. (იხ. სილაბუსი).

4. რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსში „ქართული და აფხაზური ფოლკლორი" გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ამავე კურსის ლიტერატურასა და საგნობრივ შინაარსში შეტანილ იქნას აფხაზური ნართული ეპოსი „ამბავი ნართებისა". (კომპონენტი 1.5)

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია: მე-4 რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსს **„ქართული და აფხაზური ფოლკლორი"** , სადაც ექსპერტები ითხოვენ ტექნიკური ხარვეზის გასწორებას და ლიტერატურასა და საგნობრივ შინაარსში აფხაზური ნართული ეპოსის „ამბავი ნართებისა" შეტანას.

სასწავლო კურსის **„ქართული და აფხაზური ფოლკლორი"** სილაბუსის ავტორმა გააკეთა შემდეგი განმარტება: სააკრედიტაციოდ წარდგენილ სილაბუსში მეექვსე და მერვე კვირებში მითითებული იყო ისედაც თემები - ნართაულ თქმულებათა აფხაზური ვერსია და ნართაულ თქმულებათა გმირები, ძირითად ლიტერატურაში მითითებული იყო _ სერგეი ზუხბა, აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988., ხოლო დამხმარეში - ანთელავა ნ., კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები, თბ., 2017, თუმცა მან **გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია/ტექნიკური ხარვეზი** და აღნიშნულ საგნობრივ შინაარსში კურსს დაემატა - ნართაული ეპოსი „ამბავი ნართებისა", ამავე კურსის ლიტერატურაში მიუთითა წიგნი: „ამბავი ნართებისა," აფხაზური ხალხური ეპოსი, მთარგმნელები გიორგი ბაქანიძე, ჯემალ (სიმონ) აჯიაშვილი, თბ., 1980. (იხ. მოდიფიცირებული სილაბუსი). (კომპონენტი 1.5).

5. რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს სტანდარტიზებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტისთვის შუალედურ და დასკვნით შეფასებებზე დროული და ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდებას, ყველა სასწავლო კურსის ფარგლებში. (კომპონენტი 2.4)

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეკომენდაციის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ისეთი მექანიზმი, რომელიც თითოეულ ლექტორს დაავალდებულებს, ყოველი შეფასებული აქტივობის შემდეგ სტუდენტს მიაწოდოს მინიმუმ ზეპირი ინდივიდუალური უკუკავშირი მისი ძლიერი მხარეებისა და გაუმჯობესების საჭიროებების შესახებ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი მიუთითებს გამოცდის შედეგების გასაჩივრების მექანიზმზე, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია ეხება სტუდენტებისთვის ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდების მექანიზმის არსებობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ასეთი მექანიზმის არსებობა ვერ დადასტურდა. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას,

ექსპერტთა ჯგუფი მნიშვნელოვნად მიიჩნევს დარწმუნდეს, რომ დაწესებულებამ სწორად გაიაზრა რეკომენდაციის მიზანი და მისგან გამომდინარე მოლოდინები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია: მე-5 რეკომენდაცია ეხებოდა სტანდარტიზებული მექანიზმის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტისთვის შუალედურ და დასკვნით შეფასებებზე დროული და ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდებას, ყველა სასწავლო კურსის ფარგლებში.

ვეთანხმებით ექსპერტთა რეკომენდაციას სტანდარტიზებული მექანიზმის არა შექმნასთან, არამედ **დახვეწასთან** დაკავშირებით, ვინაიდან ასეთი მექანიზმი შემუშავებული აქვს უნივერსიტეტს საგამოცდო ცენტრის ფარგლებში და ვიზიტის დროს და ვიზიტის შემდგომაც გადაგზავნილ იქნა ექსპერტების მხრიდან მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია (სააპელაციო კომისიის სხდომის ოქმი, კონკრეტული გასაჩივრებული ნაშრომის ნიმუში, გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია, საგამოცდო ცენტრის დებულება, პლაგიატის მექანიზმი). კიდევ ერთხელ გადავხედავთ მოქმედ დოკუმენტებს და აუცილებლად შევიტანთ ცვლილებებს.

6. რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენების ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო პრინციპები, მის მოქმედ აკადემიური კეთილსინდისიერების ჩარჩოში. (კომპონენტი 2.4)

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია: მე-6 რეკომენდაცია ეხებოდა გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენების ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებასა და დანერგვას მოქმედ აკადემიური კეთილსინდისიერების ჩარჩოში. (კომპონენტი 2.4).

ვეთანხმებით ამ რეკომენდაციას, ვინაიდან მისი არსებობა აქტუალური, სავალდებულო და საჭიროა დღევანდელ პირობებში, თუმცა აქვე განვმარტავთ,, რომ 2018 წლის 31 ივლისის 06/37/1 სსუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დებულება ***სსუ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის და სტუდენტების (დოქტორანტურა/მაგისტრატურა/ბაკალავრიატი) აკადემიური ეთიკისა და აკადემიური დისციპლინის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის შესახებ,*** სადაც

შესაძლებელია დეტალურად გაიწეროს და ჩაემატოს ცალკე მუხლი გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენების ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ.

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

  პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა; ხელმძღვანელთა დატვირთვის სქემა.

  პროგრამას ახორციელებს სულ 23 თანამშრომელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩათვლით. მათგან 22 აკადემიური პერსონალის წევრია და ყველა მათგანს აქვს ფილოლოგიის მიმართულებით დოქტორის ხარისხი, მათ შორის არის 6 პროფესორი და 16 ასოცირებული პროფესორი. პროგრამაში არ არიან ჩართული სამეცნიერო პერსონალი ან პოსტდოქტორანტი მკვლევრები. პროგრამა ხასიათდება აფილირების მაღალი მაჩვენებლით, რადგან 22 აკადემიური პერსონალიდან 21 აფილირებულია უნივერსიტეტთან, მათ შორის არის 6 აფილირებული პროფესორი და 15 აფილირებული ასოცირებული პროფესორი. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში ჩართულია 1 მოწვეული პერსონალი.

  - სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები.

  ბოლო 5 წლის განმავლობაში, პროგრამის აკადემიური პერსონალი ჩართულია სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში და აქტიურად უწყობენ ხელს ფილოლოგიის სფეროს განვითარებას, პუბლიკაციებისა და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის გზით. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, პროგრამის პერსონალმა გამოაქვეყნა 200 ნაშრომი ადგილობრივ და 150 ნაშრომი

საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, რაც მიუთითებს როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო აკადემიურ დისკურსში მათი ჩართულობის მაღალ დონეზე. პერსონალი ასევე აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიულ ღონისძიებებში. საანგარიშო პერიოდში, მათ ჯამში წარადგინეს დაახლოებით 180 მოხსენება ადგილობრივ კონფერენციებზე და 150 მოხსენება საერთაშორისო კონფერენციებზე.

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

პროგრამა ახალია და ჯერ არ არის აკრედიტებული. შესაბამისად, მონაცემები ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი.

- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

პროგრამა ახალია და ჯერ არ არის აკრედიტებული. შესაბამისად, მონაცემები ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი.

თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	მეტწილად შესაბამისობაშია

1.1	პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია**
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია**
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია**
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**მეტწილად შესაბამისობაშია**
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	**მეტწილად შესაბამისობაშია**
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**შესაბამისობაშია**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია**
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია**
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია**
2.4	სტუდენტების შეფასება	**მეტწილად შესაბამისობაშია**
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსი	**შესაბამისობაშია**
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია**
4.4	მატერიალური რესურსი	**შესაბამისობაშია**
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია**
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**შესაბამისობაშია**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო
რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე
შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ქართული და აფხაზური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, თანამიმდევრულია და დიდწილად მიღწევადია, სწავლების საბაკალავრო საფეხურზე. ისინი სათანადოდ ასახავს ფილოლოგიის სფეროს სპეციფიკას, მოიცავს ლინგვისტურ, ლიტერატურულ და ანალიტიკურ განზომილებებს და შეესაბამება კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოს. მიზნები მკაფიოდ ასახავს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს და ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან. პროგრამის მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა მისი მაღალი საზოგადოებრივი და დისციპლინური აქტუალობა, განსაკუთრებით, მისი წვლილი აფხაზური ენის, როგორც საფრთხეში მყოფი ენის შენარჩუნებასა და განვითარებაში. აგრეთვე, პროგრამის როლი ინტერკულტურული დიალოგისა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების განვითარებაში. გარდა ამისა, პროგრამის მიზნები თანხვედრაშია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამის მიზნებში შრომის ბაზრის მოთხოვნებს შედარებით მცირე ყურადღება ეთმობა, ვინაიდან ისინი ძირითადად კულტურული და ლინგვისტური მოსაზრებებით არის დასაბუთებული და კონკრეტულ დასაქმების შესაძლებლობებთან პირდაპირი კავშირი არასაკმარისადაა წარმოდგენილი. შრომის ბაზრის ანალიზთან დაკავშირებით, ინტერვიუს დროს, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაადასტურა, რომ მათ ჰქონდათ შეზღუდული დრო პროგრამის წარსადგენად და დაეყრდნენ მანამდე ჩატარებულ შრომის ბაზრის ანალიზს. წარმოდგენილ შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ უსდ-მ

შეისწავლა ჰუმანიტარული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართული შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობა, კერძოდ, ისეთი პროგრამების კონტექსტში, როგორებიცაა ქართული, აფხაზური, რუსული/სლავური, გერმანული და ინგლისური ფილოლოგია, აგრეთვე, ისტორია და არქეოლოგია. კვლევის ფარგლებში ჩატარდა თვისებრივი, სიღრმისეული ინტერვიუები ადამიანური რესურსების სპეციალისტებთან, დამსაქმებლებთან, განათლების ექსპერტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე, 160-ზე მეტი კურსდამთავრებულის რაოდენობრივი გამოკითხვა. კვლევამ აჩვენა, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებების კურსდამთავრებულებს აქვთ ძლიერი თეორიული და აკადემიური ცოდნა, ხოლო რესპონდენტთა უმრავლესობამ ძალიან პოზიტიურად შეაფასა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და საგანმანათლებლო პროგრამები. მიუხედავად ამისა, მთავარ გამოწვევად, რომელიც მთელ ანგარიშში იკვეთება, პრაქტიკული მომზადებისა და კარიერაზე ორიენტირებული სწავლების ნაკლებობა დასახელდა. აფხაზური ფილოლოგიის კურსდამთავრებულებს დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. მთლიანობაში, კვლევის მიხედვით, ჰუმანიტარული პროგრამები უზრუნველყოფს მყარ აკადემიურ საფუძველს, თუმცა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და საქართველოში დამსაქმებელთა ცვალებადი მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, ისინი უფრო მეტად პრაქტიკაზე ორიენტირებული უნდა გახდნენ და შრომის ბაზრის რეალობასთან მეტად დაკავშირებულნი. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ვიწრო სპეციალიზაციისაა და ყველაზე მეტად რელევანტურია ქართული კონტექსტისთვის, ქართული და აფხაზური ენისა და ლიტერატურის შესწავლა ეროვნულ საზღვრებსაც სცდება. აქედან გამომდინარე, არსებითად მნიშვნელოვანია ექსპერტთა ახალი თაობების აღზრდა, რომლებიც გააგრძელებენ ამ სფეროს წინსვლასა და განვითარებას. ინტერვიუებმა ასევე დაადასტურა, რომ პროგრამის მიზნები კარგად არის გააზრებული და მხარდაჭერილი პროგრამაში ჩართული ყველა პირის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- ვებ-გვერდი.

[რეკომენდაციები](#):

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- სასურველია, რომ უსდ-მ შექმნას არაფორმალური განათლების, სტუდენტთა მობილობის, კვლევებში მონაწილეობისა და ინტერდისციპლინური სწავლების შესაძლებლობები, განსაკუთრებით ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულებით. ეს

ხელს შეუწყობს სტუდენტების კონკურენტუნარიანობის ზრდას და სწავლის დასრულების შემდეგ, გააფართოებს მათი დასაქმების შესაძლებლობებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სწავლის შედეგებს შემდეგნაირად აყალიბებს:

ძირითადი შედეგი - ბაკალავრი, რომელიც ფლობს როგორც ქართული, ისე აფხაზური ფილოლოგიისთვის აუცილებელ ცოდნას, საბაზისო დონეზე ფლობს აფხაზურ ენას და აქვს საკმარისი უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომ იყოს კონკურენტუნარიანი, არსებულ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.

ცოდნა და გაცნობიერება: ფლობს ფართო ცოდნას ზოგადი, ქართველური და აფხაზური ენათმეცნიერების სფეროში; აღწერს ქართული და აფხაზური ენების, როგორც სემიოტიკური სისტემების, სტრუქტურისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებსა და ლინგვისტურ ვარიაციებს; განმარტავს ლინგვისტურ დებულებებს, ენობრივი ანალიზის საბაზისო წესებსა და მეთოდებს და ენათა ტიპოლოგიურ შესწავლას.

მსჯელობს ქართული და აფხაზური სალიტერატურო ენების ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითად საკითხებზე; იკვლევს გრამატიკულ კატეგორიებს,

ენის ფუნქციონირების საკითხებს, სიტყვის სტრუქტურულ და სემანტიკურ მახასიათებლებს; აანალიზებს ცვლილებებს ქართულ სალიტერატურო ენაში და აყალიბებს არგუმენტირებულ შეხედულებებს ენის სტანდარტიზაციის ასპექტებზე.

აღწერს ქართული და აფხაზური ზეპირსიტყვიერებისა და ლიტერატურის პროცესებს; განიხილავს და აანალიზებს ქართულ და აფხაზურ ლიტერატურას შესაბამის კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში და მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებით; ფლობს ფართო ცოდნას ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების, თეორიული პოეტიკის ზოგადი კანონზომიერებების, ლიტერატურული პროცესისთვის დამახასიათებელი ძირითადი მარკერებისა და ლიტერატურული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის საკვანძო კატეგორიების შესახებ.

უნარები: განასხვავებს სინქრონულ და დიაქრონულ ლინგვისტიკას, მათ კვლევის მეთოდებს, ენის შინაარსის პლანსა და გამოხატვის პლანს; იყენებს შეძენილ კომპლექსურ ცოდნას ძველი და თანამედროვე ქართული წერილობითი ტექსტების ფონეტიკური/მორფოლოგიური და სინტაქსური ანალიზისას.

კითხულობს, განიხილავს და აანალიზებს ქართული და აფხაზური ლიტერატურის ძირითადი ტექსტების ადგილსა და როლს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კონტექსტში, თეორიული და ტექსტობრივი მასალის საფუძველზე.

შეძენილი დისციპლინური ცოდნის საფუძველზე და საბაზისო კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, ხელმძღვანელის დახმარებით ქმნის სხვადასხვა სახის აკადემიურ ნაშრომს (საბაკალავრო ნაშრომი, რეფერატი, ესსე) და იყენებს ბეჭდურ და ელექტრონულ ლექსიკონებს/კორპუსებს, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, საბიბლიოთეკო რესურსებს და საძიებო სისტემებს.

აფხაზურ-ქართულ კომუნიკაციაში იყენებს ენობრივი მედიაციის უნარებს; პროფესიულ კონტექსტში, სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისათვის იყენებს თანამედროვე ქართულ ენასა და პრაქტიკულ აფხაზურ ენას A2 (საბაზისო) დონეზე, ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) ოთხივე მეტყველების კომპეტენციისა (წერა, კითხვა, ლაპარაკი, მოსმენა) და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: აფხაზური ენის შესწავლის გზით, აცნობიერებს აფხაზურ-ქართულ მრავალსაუკუნოვან და მჭიდრო ლინგვო-კულტურულ კავშირებს;

გამოხატავს სათანადო დამოკიდებულებას და სოციალურ პასუხისმგებლობას ფილოლოგიური საქმიანობის მიმართ და აცნობიერებს სწავლის გაგრძელების აუცილებლობას.

ტოლერანტობის პრინციპების გათვალისწინებით, აანალიზებს ლიტერატურულ და ლინგვისტურ ფაქტებს; გამოხატავს პატივისცემას როგორც ქართული, ისე აფხაზური ენების, როგორც სახელმწიფო და უმცირესობათა ენების მიმართ.

ინდივიდუალური და გუნდური მუშაობისას, მოქმედებს საკუთარი თავისა და სხვების განვითარების მიზნით, იცავს თანამშრომლობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ძირითად პრინციპებს; აღნიშნავს სწავლის გაგრძელების აუცილებლობას, ფილოლოგიური ცოდნის გაღრმავებისა და ენების შემდგომი სამეცნიერო შესწავლის მიზნით.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ ქართული და აფხაზური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები, ზოგადად, კარგად არის სტრუქტურირებული და მეტწილად შეესაბამება პროგრამის მიზნებს. ისინი სათანადოდ მოიცავს ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ძირითად სფეროებს და ასახავს პროგრამის შინაარსსა და დისციპლინურ მიმართულებას. სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და უმეტესწილად, გაზომვადი და მიღწევადია, საბაკალავრო საფეხურის პროგრამის ფარგლებში. მათი შესაბამისობა ფილოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციასთან აშკარაა, განსაკუთრებით ფართო თეორიულ ცოდნაზე, კვლევის საწყის უნარებსა და ანალიტიკურ კომპეტენციებზე გაკეთებული აქცენტით. სწავლის შედეგები ითვალისწინებს სფეროს სპეციფიკას, მოიცავს ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობისა და ინტერკულტურულ კომპეტენციებს და ხელს უწყობს განათლების შემდგომ საფეხურზე გადასვლას. თუმცა, ჯგუფი აღნიშნავს, რომ მათი კავშირი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან არ არის საკმარისად მკაფიო. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგები უზრუნველყოფს ზოგადი აკადემიური და ტრანსფერული უნარების განვითარებას, ნაკლებად არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომ ისინი პირდაპირ ეფუძნება შრომის ბაზრის საჭიროებებს ან ნათლად აყალიბებს კონკრეტული კარიერული წარმატებისთვის რელევანტურ, პროფესიაზე ორიენტირებულ კომპეტენციებს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სწავლის შედეგების შემუშავება დაინტერესებული მხარეების ფართო წრესთან, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების ჩათვლით, უფრო მჭიდრო თანამშრომლობით უნდა ხორციელდებოდეს. დაინტერესებული მხარეები სისტემატურად

უნდა იყვნენ ინფორმირებული სწავლის შედეგების შესახებ, ან უნდა არსებობდეს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მათთან მკაფიო კომუნიკაციასა და საერთო გაგებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- დარგობრივი მახასიათებლები
- ინტერვიუები

[რეკომენდაციები](#):

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- სასურველია, დაინტერესებული მხარეების მეტად ჩართულობა სწავლის შედეგების შემუშავებისა და გადახედვის პროცესში, უფრო ფართო წრისგან მოსაზრებების მიღების მიზნით. ასევე, სასურველია, ყურადღება დაეთმოს დაინტერესებული მხარეებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნებისა და მისაღწევი შედეგების შესახებ ერთიან, საერთო გაგებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	აირჩიეთ შესაბამისი შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს სისტემა, პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების, შეფასებისა და რეგულარული გადახედვისთვის. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოყენებული პროცედურები და ინსტრუმენტები რეგულირდება უნივერსიტეტის დოკუმენტით, სახელწოდებით „პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი". ამ ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება წინასწარ განსაზღვრული გეგმით, რომელიც აერთიანებს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს და ნათლად განსაზღვრავს თითოეული სწავლის შედეგის შეფასებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს, ვადებსა და აქტივობებს. შეფასების მიდგომა ასახავს აკადემიური სფეროს სპეციფიკურ მახასიათებლებსა და განათლების საფეხურს, რაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას, გაზომოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონე. თითოეული სწავლის შედეგისთვის, ინდივიდუალური მიდგომის გამოყენებით, დადგენილია სამიზნე ნიშნული, რომელიც ითვალისწინებს პროგრამას, კურსსა და მისაღწევ შედეგს. სწავლის შედეგები ეტაპობრივად ვითარდება ცოდნის შეძენის, გაღრმავებისა და განმტკიცების საფეხურების გავლით.

არაპირდაპირი შეფასების ფარგლებში, სტუდენტების თვითშეფასებები გამოიყენება მათ მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დასადგენად, ასევე, ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების გამოსავლენად. არაპირდაპირი შეფასება ასევე მოიცავს კურსდამთავრებულების და დამსაქმებლებისგან მიღებულ უკუკავშირს. ინსტიტუციური პრაქტიკის შესაბამისად, უნივერსიტეტი პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად იყენებს სპეციალურად შემუშავებულ კითხვარებს.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ შეფასების შედეგები რეგულარულად ანალიზდება და გამოიყენება პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის, რაც საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს პროგრამის შინაარსის, სწავლის შედეგების, შეფასების პრაქტიკისა და სასწავლო რესურსების განახლებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, ხოლო დაწესებულება უზრუნველყოფს სათანადო მხარდაჭერას პერსონალის კომპეტენციების გასაძლიერებლად, სწავლის შედეგების შემუშავების, შეფასებისა და ანალიზის მიმართულებით.

მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ შეფასების პროცესში გარე დაინტერესებული მხარეების, მათ შორის დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და პროფესიული ასოციაციების ჩართულობა, ზოგადად არის აღწერილი და მეტად სასარგებლო იქნებოდა, უფრო მკაფიოდ განსაზღვრული და სისტემური პროცედურების არსებობა. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგების მონიტორინგი აშკარად ხორციელდება,

შესაძლებელია, ცალკეული სწავლის შედეგისთვის სამიზნე ნიშნულის მკაფიოდ განსაზღვრა და შეფასების შედეგების ამ ნიშნულებთან სისტემური დადარება. დამატებით განმარტებას საჭიროებს ასევე ის მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება გარე დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისთვის, სწავლის შედეგების შეფასების შედეგებისა და ანალიზის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ინტერვიუები
- სწავლის შედეგების ანალიზის შედეგები
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ კიდევ უფრო გააძლიეროს და სისტემატიზაცია გაუკეთოს იმ მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება გარე დაინტერესებული მხარეებისთვის სწავლის შედეგების შეფასების შედეგებისა და ანალიზის გასაცნობად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	აირჩიეთ შესაბამისი შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული და აფხაზური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა შედგება 198 კრედიტისგან. საქართველოში მიმდინარე უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში, აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს ორი საბაკალავრო პროგრამის, ქართული ფილოლოგიისა და აფხაზური ფილოლოგიის, კომბინაციას. პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი, 6 სემესტრი. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 (ECTS) კრედიტისა. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილი კრედიტები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

საბაკალავრო პროგრამაში 24 კრედიტი განკუთვნილია თავისუფალი სავალდებულო კურსებისთვის, რომელთა შორის არის უცხოური ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) და ორი სავალდებულო კურსი: აკადემიური წერა და სპეციალური კურსი სახელმწიფო ენაში.

ძირითადი სწავლის სფერო შედგება 174 კრედიტისგან. ეს ბლოკი მოიცავს ქართული და აფხაზური ენებისა და ლიტერატურის კურსებს, აგრეთვე ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის კურსებს, კერძოდ:

შესავალი ლინგვისტიკაში

შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში

ახალი ქართული ენა 1 (ფონეტიკა, ფონოლოგია)

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (სასულიერო და საერო მწერლობა)

ქართული და აფხაზური ფოლკლორი

აფხაზური ენა 1

აფხაზური ენა 2

საკომუნიკაციო აფხაზური ენა 1

საკომუნიკაციო აფხაზური ენა 2

საკომუნიკაციო აფხაზური ენა 3

აფხაზური ლიტერატურის ისტორია

ახალი ქართული ენა 2 (მორფოლოგია)

ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია

ლიტერატურის თეორია

უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია

ახალი ქართული ენა 3 (სინტაქსი)

ქართული სალიტერატურო ენის ისტორია

ზოგადი ენათმეცნიერება

ქართული კრიტიკის ისტორია

ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობები

ძველი ქართული ენა

შესავალი შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში

ქართველური ენები (სვანური, ზანური)

ქართული ლექსიკოლოგია

ქართული ლიტერატურა ინტერკულტურული პროცესების კონტექსტში

საბაკალავრო ნაშრომი

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები მოიცავს 33 კრედიტს, სადაც განასხვავებენ ენათმეცნიერების ბლოკს და ლიტერატურათმცოდნეობის ბლოკს.

ენათმეცნიერების ბლოკი მოიცავს 8 საგანს:

სტილისტიკა

ქართული პალეოგრაფია

შესავალი იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში

ლინგვისტური სიტუაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე

მწერლის ენა

დამწერლობის ისტორია

შესავალი ქართველოლოგიაში

აფხაზურ-ქართული ლინგვოკულტურული კონტაქტები

ლიტერატურათმცოდნეობის ბლოკში მოცემულია 8 საგანი:

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზრი

ტექსტი-არქეტიპი ინტერტექსტში

ქართული მოდერნიზმი

ქართული პოსტმოდერნიზმი

ჟანრის პოეტიკა: პიკარესკი XX საუკუნის ქართული მწერლობის კონტექსტში

ისტორიის მხატვრული ტრანსფორმაცია ქართულ რომანში (ძირითადი ტენდენციები)

დიადი სახელები (მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან)

აფხაზეთის ომი კოლექტიური ტრავმის კონტექსტში

აფხაზური თემა ქართულ პროზაში

საგანმანათლებლო პროგრამას ანალოგი არ გააჩნია. უნივერსიტეტში ვიზიტისას გაირკვა, რომ პროგრამა შეზღუდულ ვადებში შემუშავდა. პროგრამის სახელწოდება - ქართული და აფხაზური ენა და ლიტერატურა - საჭიროებს გარკვეულ დაზუსტებას, მათ შორის ინგლისურ ენაზე. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება პროგრამას ეწოდოს ქართული და აფხაზური ფილოლოგია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის მიერ მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ფილოლოგიის ბაკალავრი. ასევე, შესაძლებელია პროგრამას ეწოდოს ქართული და აფხაზური ენები და ლიტერატურა.

ზოგიერთი კურსი 6 კრედიტიანია, ზოგი კი 3 კრედიტიანი.

საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლისას გამოვლინდა, რომ პროგრამის სტრუქტურა ზოგადად თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის ხელმძღვანელები და განმახორციელებლები რამდენიმე გამოწვევის წინაშე დადგნენ: კერძოდ, მნიშვნელოვანი იყო პროგრამაში ადეკვატურად ყოფილიყო წარმოდგენილი ქართული და აფხაზური ფილოლოგიის, ასევე, ენისა და ლიტერატურის მნიშვნელოვანი საკითხები. აღსანიშნავია, რომ ქართული ენის კურსები დაყოფილია ძველი ქართული ენისა და ახალი ქართული ენის ნაწილებად, ამასთანავე, ახალი ქართული ენა მოიცავს ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის კურსებს. პროგრამაში აფხაზური ენის ხუთი კურსია, რომელთაგან ორი: „აფხაზური ენა 1“ და „აფხაზური ენა 2“ მიზნად ისახავს აფხაზური ენის გრამატიკის შესწავლას, ხოლო „საკომუნიკაციო აფხაზური ენა 1“, „საკომუნიკაციო აფხაზური ენა 2“ და „საკომუნიკაციო აფხაზური ენა 3“ განკუთვნილია აფხაზური ენის A-2 დონეზე შესწავლისთვის. მნიშვნელოვანია, რომ აფხაზური ენის შემსწავლელი კურსების სახელწოდებები ნათლად ასახავდეს გრამატიკისა და სასაუბრო ენის შესწავლის ასპექტებს.

ფოლკლორი სასწავლო პროგრამაში ერთი კურსის სახითაა წარმოდგენილი: ქართულ-აფხაზური ფოლკლორი. ქართული ლიტერატურის შესწავლას, პერიოდების მიხედვით, რამდენიმე კურსი ეძღვნება. აფხაზური ლიტერატურისთვის განსაზღვრულია ერთი კურსი: „აფხაზური ლიტერატურის ისტორია“. ცალკე კურსია შეთავაზებული ქართულ-აფხაზურ

ლიტერატურულ ურთიერთობებზე. ცალკეული კურსების შესახებ დეტალები იხილეთ 1-ში. 5.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები](#):

- რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსებს: აფხაზური ენა 1 და აფხაზური ენა 2 გადაერქვას სახელი და დაერქვას აფხაზური ენის გრამატიკა 1 და აფხაზური ენის გრამატიკა 2.
- რეკომენდებულია, რომ უსდ-მ გადახედოს პროგრამის სახელწოდებას. პროგრამის სახელწოდება - ქართული და აფხაზური ენა და ლიტერატურა - საჭიროებს გარკვეულ დაზუსტებას, მათ შორის ინგლისურ ენაზეც. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უმჯობესია პროგრამას ეწოდოს ქართული და აფხაზური ფილოლოგია, განსაკუთრებით იმის გარემოების გათვალისწინებით, რომ პროგრამა ანიჭებს ფილოლოგიის ბაკალავრის ხარისხს. ასევე, შესაძლებელია, პროგრამას ეწოდოს - ქართული და აფხაზური ენები და ლიტერატურა.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების	აირჩიეთ შესაბამისი მეტწილად შესაბამისობაშია

სტრუქტურა და შინაარსი

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული და აფხაზური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის კურსები მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს.
კურსები მოიცავს როგორც ზოგად ლინგვისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობას, ასევე, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების და აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებს. გარდა ამისა, რამდენიმე კურსი ეხება ქართულ-აფხაზური ლინგვისტური და ლიტერატურული ურთიერთობების საკითხებს. ბუნებრივია, ასეთი მიდგომა სამწლიანი საბაკალავრო პროგრამისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს, ვინაიდან საჭიროა ყველა ძირითად და სავალდებულო საკითხზე ფოკუსირება, როგორც ზოგადფილოლოგიური, ასევე, ქართული ენისა და ლიტერატურის და აფხაზური ენისა და ლიტერატურის მიმართულებებში.
ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა უმეტეს შემთხვევაში ასრულებს თავის მიზანსა და დანიშნულებას, თუმცა გასაუმჯობესებელია გარკვეული საკითხები.
სავალდებულო კურსი „აკადემიური წერა" მოიცავს არგუმენტირებული ნაშრომის შესასრულებლად საჭირო თემებსა და პრაქტიკულ საკითხებს, თუმცა, კურსის თემატიკა არ მოიცავს ხელოვნური ინტელექტის გენერაციული ინსტრუმენტების გამოყენებასთან და ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებულ საკითხებს (დეტალებისთვის იხ. 2.4.).
სავალდებულო კურსი „სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი" ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის №65/ნ ბრძანებას (12.08.2025) და

კანონმდებლობის შესაბამისად ასახავს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სწავლების მნიშვნელოვან საკითხებს, თუმცა იმავე კანონი განსაზღვრავს აფხაზეთის ტერიტორიაზე მეორე სახელმწიფო ენის, აფხაზური ენის, სწავლების სავალდებულო რეგულაციებსაც. მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამჟამად თბილისში ფუნქციონირებს, იგი ერთადერთი უნივერსიტეტია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, რომელიც საბაკალავრო საფეხურზე ქართულ და აფხაზურ ენებსა და ლიტერატურას ასწავლის. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის თემატიკა უნდა ასახავდეს აფხაზური ენის, როგორც სახელმწიფო ენის, საკითხებსაც.

სავალდებულო კურსი „ქართულ-აფხაზური ფოლკლორი“ მიზნად ისახავს ქართული და აფხაზური ფოლკლორის არსებითი პრობლემების სწავლებას. კურსის შესწავლისას გამოვლინდა, რომ კურსის თემატიკა მოიცავს როგორც ფოლკლორის ჟანრობრივ მასალას, ისე ქართული ფოლკლორისა და აფხაზური ფოლკლორის ძირითად საკითხებს. ეპოსის განხილვისას, ისევე როგორც ზღაპრების თემატიკაში, ფოლკლორის ჟანრობრივ საკითხებთან და ქართული ფოლკლორის ნიმუშების დასახელებებთან ერთად, ორჯერ არის ნახსენები „ნართაული თქმულებები“ აფხაზური ფოლკლორიდან. მიგვაჩნია, რომ ეს ტექნიკური შეცდომაა და უნდა გამოსწორდეს, რადგან სწორი ტერმინია „ნართული ეპოსი“. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა მოიცავს ქართული და აფხაზური ფოლკლორის კვლევებს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამაში, ქართული ფოლკლორის ნიმუშებთან ერთად, შეტანილ იქნეს აფხაზური ფოლკლორის ნიმუშებიც, მათ შორის, ნართების ეპოსის აფხაზური ვერსია, „ამბავი ნართებისა“ (თბილისი, 1989), რომელიც სრულად არის ხელმისაწვდომი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“

- https://matsne.gov.ge/ka/document/view/6604704?publication=0

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, რომ სახელმწიფო ენის კურსის შინაარსში, სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ქართული ენის საკითხებთან ერთად, აისახოს აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე აფხაზური ენის საკითხებიც.
- რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსში „ქართული და აფხაზური ფოლკლორი" გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ამავე კურსის ლიტერატურასა და საგნობრივ შინაარსში შეტანილ იქნას აფხაზური ნართული ეპოსი „ამბავი ნართებისა".

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	აირჩიეთ შესაბამისი მეტწილად შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ - ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც

უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული და აფხაზური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და ბაკალავრიატის საფეხურს. კერძოდ, აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების, პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. კერძოდ, „ქართული და აფხაზური ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამაზე ჩასარიცხად სავალდებულოა:

ა) უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ჩაბარება;

ბ) ქართული ენისა და ლიტერატურის ჩაბარება;

გ) ისტორიის ან ლიტერატურის ჩაბარება.

პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშეც. სწავლება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული და აფხაზური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამაზე შიდა და გარე მობილობის გზით გადმოსული სტუდენტების მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე, სწავლების მეორე სემესტრიდან.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და შეესაბამება კანონმდებლობას. უნივერსიტეტის განმარტებით, პროგრამის აკრედიტაციის მიღებისთანავე, პროგრამა და მასზე მიღების წინაპირობები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და სხვა შესაბამის საგანმანათლებლო პლატფორმებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა

- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები](#):

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.1.პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	აირჩიეთ შესაბამისი შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული და აფხაზური ენის და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა ავითარებს პრაქტიკულ, სამეცნიერო, კვლევით, ანალიტიკურ, საშემსრულებლო და ტრანსფერულ უნარებს. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კურსის საშუალებით, სტუდენტები იძენენ სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო ტექნიკურ და პრაქტიკულ უნარებს.

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს, რომელსაც ენიჭება 6 კრედიტი. უნივერსიტეტმა შეიმუშავა საბაკალავრო ნაშრომის შესრულების კრიტერიუმები,

ფილოლოგიის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით. საბაკალავრო ნაშრომები მოწმდება პლაგიატის გამოვლენის პროგრამის მეშვეობით. საბაკალავრო ნაშრომებს თან ახლავს ხელმძღვანელის შეფასება, პლაგიატის პროგრამის ანგარიში და ა.შ. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ხელოვნური ინტელექტის გენერაციული ინსტრუმენტები საუნივერსიტეტო სივრცეში აქტიურად გამოიყენება და ხელოვნური ინტელექტი განვითარდა. შემუშავებულია გენერაციული ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენების წესი/გზამკვლევი, რომელიც განსაზღვრავს მათ გამოყენებას სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების დაგეგმვის პროცესში, როგორც ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში, ასევე, საბაკალავრო ნაშრომის მომზადების კონტექსტში. ასევე, საბაკალავრო ნაშრომების შესავალშივე იკვეთება, რომ ნაშრომების რეზიუმე სრულად არ შეესაბამება ციტირების საერთაშორისო სტანდარტებს. სასურველია, სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ციტირების საერთაშორისო სტანდარტების დაცვას. (დეტალებისთვის იხილეთ 2.4.).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- სასურველია, სამეცნიერო ნაშრომების შესრულების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს ციტირების საერთაშორისო სტანდარტებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2.პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი შესაბამისობაშია

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო პროგრამისა და სილაბუსების სიღრმისეული შეფასება ცხადყოფს, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგია შეესაბამება განათლების შესაბამის საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებსა და დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებს (არსებობის შემთხვევაში) და უზრუნველყოფს აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგია მოიცავს თეორიულ, პრაქტიკულ, ანალიტიკურ და გამოყენებით მიდგომათა კომბინაციას. პრაქტიკული და გამოყენებითი მეთოდები უზრუნველყოფს უნარებზე დაფუძნებულ და კომპეტენციებზე ორიენტირებულ სწავლის შედეგებთან თანხვედრას. მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში მითითებულია თუ რა მექანიზმები არსებობს ფაკულტეტთან ონლაინ კონსულტაციებისთვის და დისტანციური სწავლებისთვის, ნათლად არ არის განსაზღვრული ან ინტეგრირებული კონკრეტული ციფრული ინსტრუმენტები, ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიები ან ინტერაქტიული მულტიმედიური კომპონენტები. სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას, სტუდენტებსა და პერსონალს შორის, ასევე, სტუდენტებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, ხელს უწყობს სტუდენტთა ავტონომიისა და პასუხისმგებლობის განვითარებას და ავითარებს მრავალმხრივ კომპეტენციებს, მათ შორის კრიტიკულ და ანალიტიკურ უნარებს. აღნიშნული მეთოდები ხელს უწყობს კომუნიკაციური უნარების, გუნდური მუშაობის, არგუმენტაციისა და რეფლექსიური აზროვნების განვითარებას, ასევე, სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის შინაარსიან ურთიერთობას. პრაქტიკული აქტივობები უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ

ჩართულობას ამოცანებზე დაფუძნებული სწავლების პროცესში, რაც ხელს უწყობს როგორც განვითარებას, ისე განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევასა და დაუფლებას. სილაბუსები წარმატებით აერთიანებს პრაქტიკულ მიდგომებს, თუმცა კვლევაზე ორიენტირებული მეთოდების ასახვის თვალსაზრისით გადანაწილება არათანაბარია. ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა „თანამედროვე ქართული ენა 2 (მორფოლოგია)“ და „თანამედროვე ქართული ენა 1 (ფონეტიკა, ფონოლოგია)“, შუალედური შეფასება სრულად ეყრდნობა, ყოველკვირეული პრაქტიკული მეცადინეობების ფარგლებში, სტუდენტთა შეფასებას.

სტუდენტთა მაღალი დონის ავტონომიის, კრიტიკული რეფლექსიისა და მეცნიერული არგუმენტაციის უნარის განვითარების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა, აღნიშნულ კურსებში კვლევაზე ორიენტირებული აქტივობების ინტეგრირება, მაგალითად, მოკლე აკადემიური ნაშრომების მომზადების ან პროექტების პრეზენტაციების სახით, იმ მოდელების მსგავსად, რომლებიც წარმატებით გამოიყენება „ძველი ქართული ენისა“ და „ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობების“ სილაბუსებში. სტუდენტები გამოთქვამენ კმაყოფილებას უნივერსიტეტში არსებული სწავლებისა და სასწავლო პროცესის მიმართ. სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს უნივერსიტეტში სწავლება და სასწავლო პროცესი. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ შერჩეული სწავლებისა და სწავლის მეთოდები ხელს უწყობს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში, აძლიერებს ურთიერთქმედებას როგორც სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, ისე თავად სტუდენტებს შორის. აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას, სათანადო დონეზე ავითარებს ავტონომიასა და პასუხისმგებლობას და ორიენტირებულია მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების კომპეტენციების გაძლიერებაზე. კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ ისინი ისურვებდნენ სასწავლო პროცესში პრეზენტაციების უფრო მეტად ინტეგრირებას; შესაბამისად, სასურველია, აღნიშნული საკითხის განხილვა უსდ-ს მიერ. უსდ-ს გააჩნია სათანადო მატერიალური რესურსები და დადასტურებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს ელექტრონულ / დისტანციურ სწავლებას დარგის სპეციფიკასთან შესაბამისი სასწავლო მეთოდების გამოყენებით, რაც არ ცვლის პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუები
- ინფრასტრუქტურის ადგილზე შეფასება

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- სასურველია, უსდ -ს ძირითადი ლინგვისტური კურსების შეფასების სტრუქტურაში ინტეგრირდეს ფორმალური კვლევითი კომპონენტი (მაგალითად, მოკლე საკურსო ნაშრომი, ლიტერატურის მიმოხილვა ან ანალიტიკური პრეზენტაცია).

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
23.სწავლება-სწავლის მეთოდები;	აირჩიეთ შესაბამისი შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება სილაბუსებში განსაზღვრული მრავალფეროვანი შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენებით. შეფასების პროცედურები დეტალურად არის აღწერილი და სრულად შეესაბამება მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ამასთანავე, კონკრეტულ სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების ფორმატები მორგებულია კურსის შინაარსზე, რაც უზრუნველყოფს განსაზღვრული სწავლის შედეგების ზუსტ შეფასებას.

ცოდნის შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები მკაფიოდ და დეტალურად არის განსაზღვრული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მათთვის სილაბუსები ხელმისაწვდომია აკადემიური პროცესის დაწყებამდე.

ვიზიტის ფარგლებში აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები შუალედური და/ან დასკვნითი შეფასებების შესახებ იღებენ ზოგად და არა ინდივიდუალურ ზეპირ და/ან წერილობით უკუკავშირს. რამდენიმე ლექტორმა აღნიშნა, რომ დავალებისა და/ან გამოცდის დასრულების შემდეგ, ისინი სტუდენტებთან გამოცდის საკითხებს კოლექტიურად განიხილავენ.

თუმცა, ამ ფორმატით, სტუდენტი ლექტორისგან ინდივიდუალურ უკუკავშირს ვერ იღებენ. მიუხედავად იმისა, რომ ერთმა ლექტორმა აღნიშნა, სტუდენტთა ნამუშევრებზე პირდაპირი კომენტარების დატოვების პრაქტიკაზე, ხოლო ერთმა სტუდენტმა დაადასტურა რამდენიმე ლექტორისგან წერილობითი უკუკავშირის მიღება. ნათლად იკვეთება, რომ აღნიშნული პრაქტიკა წარმოადგენს გამონაკლისს და არ არის ინსტიტუციურად სტანდარტიზებული. სტუდენტის ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებისთვის, აუცილებელია, ლექტორის მხრიდან დროული და ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდება, სულ მცირე ზეპირი ფორმით, ხოლო წერილობითი უკუკავშირის არსებობა კი უფრო მიზანშეწონილია.

<u>**რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს სტანდარტიზებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტისთვის შუალედურ და დასკვნით შეფასებებზე დროული და ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდებას, ყველა სასწავლო კურსის ფარგლებში.**</u>

პროგრამის მოთხოვნების თანახმად, სტუდენტებისთვის სავალდებულოა საბაკალავრო ნაშრომის შესრულება. ამ მიზნით, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავა მარეგულირებელი დოკუმენტი „საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია“, რომელიც მკაფიოდ არის მითითებული სასწავლო კურსის სილაბუსში.

დამამთავრებელი კურსის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ საბაკალავრო ნაშრომის შესრულების დაწყებამდე, ხელმძღვანელები მათ დეტალურად აცნობენ კონკრეტულ მოთხოვნებს, მარეგულირებელი ინსტრუქციების შესაბამისად.

ამასთანავე, აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ჩარჩოს. კერძოდ, ქულები განაწილებულია შემდეგნაირად:

- ხელმძღვანელი – საერთო შეფასების 30%;
- რეცენზენტი – საერთო შეფასების 30%;
- საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისია – 40%.

შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია ზემოაღნიშნულ ინსტრუქციებში გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს მარეგულირებელი პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური ეთიკისა და დისციპლინური დარღვევების შემთხვევაში პასუხისმგებლობებს და დისციპლინურ ზომებს როგორც აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის, ასევე, ყველა საფეხურის სტუდენტებისთვის

(საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო). აღნიშნული დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს:

- აკადემიური ეთიკის დარღვევების პრევენციის პროცედურებსა და მექანიზმებს;
- პლაგიატის გამოვლენის მექანიზმებს;
- პლაგიატის დაფიქსირებულ შემთხვევებზე რეაგირების პროტოკოლებს, ასევე, სხვა დაკავშირებულ საკითხებს.

სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

თუმცა, არც აღნიშნულ დოკუმენტში და არც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სხვა რეგულაციებში არ არის განსაზღვრული გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენების წესები. აღნიშნული მნიშვნელოვანი რისკია შეფასების პროცესის სანდოობისა და ვალიდურობისთვის.

<u>რეკომენდებულია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენების ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო პრინციპები მის მოქმედ აკადემიური კეთილსინდისიერების ჩარჩოში.</u>

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის“ მე-6 მუხლი განსაზღვრავს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების პროცედურას. სტუდენტებთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ისინი იცნობენ შეფასების გასაჩივრების პროცედურას; თუმცა, არცერთ მათგანს არასდროს გამოუყენებია ეს შესაძლებლობა. ინტერვიუს დაახლოებით ათი სტუდენტი დაესწრო (მათ შორის რამდენიმე კურსდამთავრებული). ის ფაქტი, რომ არცერთ მათგანს არასდროს გაუსაჩივრებია თავისი შეფასება, მიუთითებს, რომ გასაჩივრების მექანიზმი შესაძლოა მხოლოდ ფორმალური იყოს.

2026 წლის 18 მაისს, ექსპერტთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ მოითხოვა, რომ უსდ - მ წარმოადგინოს მტკიცებულებითი მასალა სტუდენტთა შეფასებების გასაჩივრების პროცედურის პრაქტიკული განხორციელების შესახებ.

პასუხად, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა შეფასების გასაჩივრების ერთი მაგალითი.

წარმოდგენილი მტკიცებულების მიხედვით:

- 2026 წლის 30 აპრილს, სტუდენტმა ჩააბარა გამოცდა;
- 2026 წლის 14 მაისს, სტუდენტმა გაასაჩივრა ნაშრომი;
- 2026 წლის 18 მაისს, გაიმართა სააპელაციო დროებითი კომისიის სხდომა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სტუდენტის ქულის უცვლელად დატოვების შესახებ.

ის ფაქტი, რომ უმაღლესმა სასწავლებელმა მხოლოდ ერთი მტკიცებულება წარმოადგინა – რომლის ვადები საეჭვოდ ემთხვევა ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნას – აძლიერებს ეჭვს, რომ შეფასების გასაჩივრების მექანიზმი მხოლოდ ფორმალურია და სტუდენტები პრაქტიკაში აქტიურად არ იყენებენ მას.

<u>სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დანერგოს სტუდენტთა შეფასებების გასაჩივრების ისეთი მექანიზმი, რომელიც რეალურად და ეფექტიანად შეასრულებს თავის დანიშნულებას.</u>

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აფასებს სწავლის შედეგებს. იმის გათვალისწინებით, რომ აკრედიტაციისთვის წარდგენილი პროგრამა პრაქტიკაში ჯერ არ არის დანერგილი, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა სხვა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შუალედური შეფასებები. ამ დოკუმენტის თანახმად, ტარდება სტუდენტების შეფასებების ანალიზი და ზოგიერთ შემთხვევაში გამოვლინდა კონკრეტულ სფეროებში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა. თუმცა, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ნათლად აჩვენა, რომ სტუდენტების შეფასებების ანალიზზე დაყრდნობით, საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელება პრაქტიკაში იშვიათად ხორციელდება.

<u>სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს ფუნქციური, სისტემური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასების ანალიზის შედეგების აქტიურ გამოყენებას საგანმანათლებლო პროგრამების განახლების, დახვეწისა და უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.</u>

თითოეულ სილაბუსში განსაზღვრულია, რომ ონლაინ, ელექტრონული/დისტანციური სწავლების პირობებში, დაგეგმილია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციებით გათვალისწინებული შესაბამისი სწავლებისა და შეფასების მეთოდების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების უცვლელობას. თუმცა, ამ დებულებაში მითითებულ მარეგულირებელ დოკუმენტს აკლია კონკრეტული და ნათლად ჩამოყალიბებული წესები თუ როგორ უნდა ჩატარდეს შეფასების პროცესი ელექტრონული ან დისტანციური სწავლების დროს.

გასაუბრების პროცესში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გარკვეულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ირიცხებიან მსჯავრდებული პირები, რომლებიც ამჟამად იხდიან სასჯელს პენიტენციურ დაწესებულებაში. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მკაფიოდ განისაზღვროს წესები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ელექტრონული/დისტანციური სწავლების ფორმატში განხორციელებული შეფასებების სანდოობასა და ვალიდურობას.

<u>სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიტანოს ცვლილებები სასწავლო პროცესის რეგულაციებში და დაამატოს ელექტრონული და დისტანციური სწავლების პირობებში სტუდენტთა შეფასებისთვის კონკრეტული და ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო პრინციპები.</u>

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმები
- კურსის სილაბუსები;

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები
- ინსტრუქციები გამოცდების ჩასატარებლად
- საბაკალავრო ნაშრომის მომზადების, დაცვისა და შეფასების წესები
- სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, აგრეთვე სტუდენტების (დოქტორანტურის, სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურები) მიერ აკადემიური ეთიკისა და დისციპლინის დარღვევებზე პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი წესი
- თვითშეფასების ანგარიში

[რეკომენდაციები](#).

- რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს სტანდარტიზებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტისთვის შუალედურ და დასკვნით შეფასებებზე დროული და ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდებას, ყველა სასწავლო კურსის ფარგლებში.
- რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენების ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო პრინციპები, მის მოქმედ აკადემიური კეთილსინდისიერების ჩარჩოში.

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დანერგოს სტუდენტთა შეფასებების გასაჩივრების ისეთი მექანიზმი, რომელიც რეალურად და ეფექტიანად უზრუნველყოფს მისი დანიშნულების შესრულებას.
- სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს ფუნქციური, სისტემური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასების ანალიზის შედეგების აქტიურ გამოყენებას საგანმანათლებლო პროგრამების განახლების, დახვეწისა და უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.
- სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიტანოს ცვლილებები სასწავლო პროცესის რეგულაციებში და დაამატოს ელექტრონული და დისტანციური სწავლების პირობებში სტუდენტთა შეფასებისთვის კონკრეტული და ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო პრინციპები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

2.4.სტუდენტების შეფასება:	მეტწილად შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და მითითების სათანადო ხარისხი.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ფაკულტეტს არ ჰყავს სასწავლო პროცესის მენეჯერი ან კოორდინატორი. ამ თანამდებობის ფუნქციებს ასრულებენ დეკანი და დეკანის მოადგილე. მიუხედავად ამისა, სტუდენტებს პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის პრობლემები არ ექმნებათ და დროულად იღებენ შესაბამის კონსულტაციებს. აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად, სტუდენტები, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი კონსულტაციებისთვის პირდაპირ მიმართავენ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს.

თუმცა, სტუდენტების მხარდაჭერის სერვისების გრძელვადიანი მდგრადობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, ფაკულტეტმა შექმნას სასწავლო პროცესის მენეჯერის ან კოორდინატორის სპეციალური პოზიცია. ამ ადმინისტრაციული მოვალეობების დელეგირება უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის შეუფერხებელ, ინდივიდუალურ მხარდაჭერას ფაკულტეტის დატვირთვის მიუხედავად, ამავდროულად, დეკანსა და დეკანის მოადგილეს საშუალებას მისცემს უფრო ეფექტურად ფოკუსირდნენ ფაკულტეტის სტრატეგიულ და აკადემიურ ხელმძღვანელობაზე.

სტუდენტების კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებით, უმაღლეს სასწავლებელში პერიოდულად იმართება შეხვედრები დამსაქმებლებთან. თუმცა, არ არსებობს გამოყოფილი სტრუქტურული ერთეული (კარიერული სერვისი), რომლის ძირითადი ფუნქციაა სტუდენტების მხარდაჭერა და კონსულტაცია კარიერასთან

დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით. აღნიშნულ საკითხზე დეტალური ანალიზისთვის იხილეთ 1.1 სექცია.

სტუდენტთა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გარემოში ადაპტაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, სწავლის პირველ კვირაში იმართება საორიენტაციო შეხვედრები დეკანთან, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია დაწესებულებაში არსებული მხარდაჭერის სერვისების შესახებ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გარემო მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმ) საჭიროებებზე და დაწესებულებას აქვს პრაქტიკული გამოცდილება ამ სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირების მხრივ.

სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი კვლევით და შემეცნებით აქტივობებში. უსდ-ში რეგულარულად იმართება კონფერენციები. სტუდენტების განცხადებით, ისინი აქტიურად მონაწილეობენ როგორც უსდ - ს შიდა, ისე მის გარეთ გამართულ ღონისძიებებში და ამ პროცესში სარგებლობენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის სრული მხარდაჭერით. ამასთანავე, წარმატებული სტუდენტები მონაწილეობენ ეროვნულ კონფერენციებში, რასაც ფინანსურად უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. მიუხედავად ამისა, ინტერვიუების დროს სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამის ფარგლებში შესთავაზოს უფრო პრაქტიკული და საველე საგანმანათლებლო აქტივობები, როგორიცაა არქეოლოგიური გათხრები და მუზეუმების დათვალიერება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები;
- თვითშეფასების ანგარიში

[რეკომენდაციები](#).

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

სასურველია, ფაკულტეტმა შემოიღოს სასწავლო პროცესის მენეჯერის ან კოორდინატორის ცალკე პოზიცია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და	შესაბამისობაშია

მხარდაჭერის სერვისები

3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.2.მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [4]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**22**	**17**	**17**	**21**
- პროფესორი	6	4	4	6
- ასოცირებული პროფესორი	15	13	13	15
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	1	1	1	_
სამეცნიერო პერსონალი				_
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით				

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის თვითშეფასების ანგარიშის, პროგრამის კურიკულუმის, პერსონალის CV-ების, დატვირთვის დოკუმენტაციის, ასევე, ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამა, ზოგადად, შეესაბამება ადამიანური რესურსებისა და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მიმართულებით, სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომლებიც ფლობენ შესაბამის აკადემიურ ხარისხს, კვლევით გამოცდილებას და დარგობრივ კომპეტენციებს ქართული და აფხაზური ფილოლოგიის მიმართულებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი შესაბამის კომპეტენციას ადასტურებს სამეცნიერო პუბლიკაციებით, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით, კვლევითი აქტივობებითა და პროგრამის განვითარების პროცესებში

[4]ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

აქტიური ჩართულობით. პროგრამის პერსონალის კვალიფიკაცია, როგორც წესი, შეესაბამება პროგრამის შინაარსს და დაგეგმილ სასწავლო შედეგებს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შედარებით სტაბილური აფილირებული აკადემიური პერსონალის ჯგუფი, მათ შორის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები, რომელთა კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათზე განაწილებულ სასწავლო კომპონენტებთან. პროგრამის ხელმძღვანელები ავლენენ შესაბამის აკადემიურ და პროფესიულ კომპეტენციას და აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში, სასწავლო გეგმის შემუშავებასა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

პროგრამას მხარს უჭერს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკმარისი რაოდენობა. იკვეთება, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, ბიბლიოთეკის პერსონალი და საგანმანათლებლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები, ფლობენ პროგრამის განხორციელებისა და სტუდენტური სერვისების უზრუნველყოფისთვის საჭირო კომპეტენციებს. ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს აქვთ ადმინისტრაციული და ტექნიკური მხარდაჭერა.

კურიკულუმისა და აკადემიური დატვირთვის განაწილების ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მცირე რაოდენობის სპეციალისტები, აფხაზური ენისა და ფილოლოგიის მიმართულებით. რამდენიმე ძირითად კურსს ასწავლის ერთი და იგივე აკადემიური პერსონალი, განსაკუთრებით პროგრამის აფხაზური ენის კომპონენტის მიმართულებით. ეს ქმნის პოტენციურ რისკს სწავლების გრძელვადიანი მდგრადობისა და უწყვეტობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, პერსონალის შესაძლო არარსებობის ან როტაციის შემთხვევაში.

ადგილზე ვიზიტის დროს, პროგრამის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ უნივერსიტეტში არსებობს მექანიზმები აფხაზური ენის კვლევების უწყვეტი მხარდაჭერის მიზნით, კერძოდ, აფხაზური ენის ცენტრის ფარგლებში, სადაც ახალგაზრდა მკვლევრები და სპეციალისტები ახორციელებენ კვლევით საქმიანობას აფხაზური ენისა და ფილოლოგიის მიმართულებით. ეს მიდგომა ადასტურებს, რომ დაწესებულება აცნობიერებს აკადემიური უწყვეტობისა და პერსონალის განვითარების მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის რამდენიმე ძირითადი კომპონენტის განხორციელება კვლავ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უფროს აკადემიურ პერსონალზე, უნივერსიტეტისთვის მიზანშეწონილი იქნებოდა, გრძელვადიანი მდგრადობის მიზნით, ახალგაზრდა მკვლევრების ჩართვა სასწავლო პრაქტიკაში, თანასწავლების საქმიანობაში, სასწავლო გეგმის განხორციელებასა და სტუდენტების ზედამხედველობაში. ადრეული პრაქტიკა ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მკვლევრებისთვის აკადემიური და პედაგოგიური გამოცდილების ეტაპობრივ გადაცემას და წვლილს შეიტანს პროგრამის მდგრად განვითარებაში. ამასთანავე, საქართველოში მოქმედი საგანმანათლებლო ჩარჩოსა და რეფორმების გათვალისწინებით, რომლის შესაბამისადაც უნივერსიტეტი აღარ ახორციელებს მაგისტრატურისა და

დოქტორანტურის პროგრამებს აფხაზური და ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით, მიზანშეწონილია, დაწესებულებამ შეიმუშაოს გრძელვადიანი სტრატეგიული მექანიზმები მომავალი აკადემიური პერსონალის მომზადების მიზნით. ამასთან, დამატებითი თანამშრომლობა, კვლევითი ინიციატივები, ერთობლივი პროგრამები ან მიზნობრივი აკადემიური განვითარების სტრატეგიები შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს პროგრამის მომავალი მდგრადობისა და უწყვეტობისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის სასწავლო გეგმა
- პერსონალის CV-ები;
- სამუშაო დატვირთვის განაწილების დოკუმენტაცია,
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გრძელვადიანი საკადრო პოლიტიკის დაგეგმვის მექანიზმები აფხაზური ენისა და ფილოლოგიის მიმართულებით, შეზღუდული რაოდენობის უფროს სპეციალისტებზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით.
- სასურველია, აფხაზური ენის ცენტრის ახალგაზრდა მკვლევართა და ახალგაზრდა სპეციალისტთა უფრო აქტიური ჩართვა სწავლების პრაქტიკაში, თანასწავლებაში, კურიკულუმის განხორციელებასა და სტუდენტთა ზედამხედველობის პროცესში, რათა ხელი შეეწყოს აკადემიური და პედაგოგიური გამოცდილების ეტაპობრივ გადაცემას.
- სასურველია, უნივერსიტეტმა განავითაროს უფრო სისტემური და გრძელვადიანი მექანიზმები აფხაზური და ქართული ფილოლოგიის მიმართულებით, მომავალი აკადემიური პერსონალის მომზადების მიზნით, განსაკუთრებით მოქმედი საგანმანათლებლო ჩარჩოს პირობებში, როდესაც აღნიშნული მიმართულებით სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები აღარ ხორციელდება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

4.1. ადამიანური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, ადგილზე ვიზიტის შემდეგ მოწოდებული დამატებითი ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაციის, ყოველწლიური სამეცნიერო საქმიანობისა და კვლევითი ანგარიშების, ასევე, შეფასების პროცესის დროს ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული მექანიზმები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარებისთვის.

დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს სხვადასხვა შეფასებას და კმაყოფილების გამოკითხვას, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობით. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება PDCA-ს („დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე“) ციკლს და მოიცავს საგანმანათლებლო პროცესების, აკადემიური პერსონალის კმაყოფილების, სტუდენტების კმაყოფილების და ლექტორების შეფასების მონიტორინგის მექანიზმებს. უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასებას ონლაინ კითხვარების მეშვეობით, რომლის ფარგლებში ფასდება ისეთი საკითხები, როგორიცაა სილაბუსის წარდგენა, სტუდენტებთან კომუნიკაცია, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, შეფასების სამართლიანობა და სასწავლო პროცესის ორგანიზება.

ანგარიშში წარმოდგენილი შეფასების შედეგები, როგორც წესი, მიუთითებს როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების კმაყოფილების მაღალ დონეზე. აკადემიური პერსონალი დადებითად აფასებს ადმინისტრირებას, სასწავლო პროცესის ორგანიზებას, შეფასების სისტემას და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას. ამავდროულად, კვლევები ასევე ავლენს რამდენიმე მნიშვნელოვან გასაუმჯობესებელ სფეროს, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაძლიერების, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისა და სამეცნიერო საქმიანობისა და აკადემიური მობილობის უფრო ძლიერი მხარდაჭერის საჭიროებას.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერას კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობის, კვლევითი პროექტების განხორციელების, პუბლიკაციების მომზადებისა და სხვადასხვა პროფესიული განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის გზით. აკრედიტაციის მასალების ფარგლებში წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის სხვადასხვა აკადემიური მიმართულებისა და დეპარტამენტის ყოველწლიური სამეცნიერო საქმიანობისა და კვლევითი ანგარიშები, დამატებით ადასტურებს აკადემიური პერსონალის აქტიურ ჩართულობას სამეცნიერო კონფერენციებში, აკადემიურ პუბლიკაციებში, კვლევით საქმიანობასა და პროფესიულ ღონისძიებებში რამდენიმე აკადემიური წლის განმავლობაში. ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული პროგრამის სფეროსთან დაკავშირებულ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში. როგორც ჩანს, დაწესებულება ასევე ხელს უწყობს

სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობას და მხარს უჭერს აკადემიური ნაშრომის გავრცელებას.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მოქმედი მექანიზმები, მეტი ყურადღება შეიძლება დაეთმოს შეფასების შედეგების სისტემატურ ანალიზს და პრაქტიკულად გამოყენებას აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნობრივი მიმართულებით, განსაკუთრებით ინოვაციური სწავლების მეთოდების, ციფრული კომპეტენციების და ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის სასწავლო და კვლევით საქმიანობაში ჩართულობის კუთხით.

შეფასების პროცესმა გამოავლინა რამდენიმე გამოწვევა დაინტერესებული მხარეების ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართულობის კუთხით. ადგილზე ვიზიტის დროს, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ლექტორთა შეფასების კითხვარში სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებელი კვლავ შედარებით დაბალია. აღნიშნული გარემოება შესაძლოა უარყოფითად აისახოს შეფასების შედეგების წარმომადგენლობითობას და ეფექტიანობაზე, რითაც შეიზღუდოს მიღებული უკუკავშირის პრაქტიკული გამოყენება სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. ამ მხრივ, უნივერსიტეტისთვის მიზანშეწონილი იქნებოდა იმ მექანიზმების გაძლიერება, რომლებიც წაახალისებს სტუდენტების შეფასების პროცესებში მონაწილეობას. მაგალითად, ელექტრონული პლატფორმა შეიძლება კიდევ უფრო განვითარდეს, რომ სტუდენტებმა შეავსონ ლექტორების შეფასების კითხვარები, კურსის საბოლოო შეფასებების მიღებამდე. ასეთ მექანიზმს შეუძლია გაზარდოს უკუკავშირი და გააუმჯობესოს მისი ეფექტურობა, შეფასების პროცესის კონფიდენციალურობისა და დამოუკიდებლობის დაცვით.

საერთო ჯამში, პროგრამა არსებითად შეესაბამება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების შესაბამისი სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს. უნივერსიტეტი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მხარს უჭერს აკადემიურ განვითარებას; თუმცა, შეფასების პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაძლიერება და შეფასების შედეგების პრაქტიკული გამოყენების გაუმჯობესება კიდევ უფრო გააუმჯობესებდა სისტემის ეფექტურობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
- ყოველწლიური სამეცნიერო საქმიანობისა და კვლევის ანგარიშები.

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს ისეთი მექანიზმების გაძლიერება, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტების მეტად ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, დამხმარე დოკუმენტაციის, ბიბლიოთეკის დებულების, ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშების, სტატისტიკური მასალებისა და ადგილზე ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზოგადად უზრუნველყოფს მატერიალურ, ტექნიკურ და საინფორმაციო

რესურსებს, რომლებიც აუცილებელია ქართული და აფხაზური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისა და პროგრამის სასწავლო შედეგების მისაღწევად.

უნივერსიტეტს გააჩნია საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურა, განაწილებული ორ აკადემიურ კორპუსზე, რომელიც მოიცავს სამკითხველო დარბაზებს, კომპიუტერულ სივრცეებს, ელექტრონული ბიბლიოთეკის სერვისებს და ბეჭდური და ელექტრონული სასწავლო რესურსებზე წვდომას. ბიბლიოთეკის დებულება მკაფიოდ განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ფუნქციებს, პასუხისმგებლობებს, მომხმარებელთა მომსახურებას, კატალოგიზაციის სისტემებს და ბიბლიოთეკის რესურსების შენარჩუნებისა და განვითარების მექანიზმებს. დაწესებულება იყენებს EVERGREEN ელექტრონული კატალოგის სისტემას და ბიბლიოთეკის სერვისების საშუალებით უზრუნველყოფს როგორც ბეჭდურ, ასევე, ელექტრონულ მასალებზე წვდომას.

ადგილზე ვიზიტის დროს განხილული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, პროგრამა უზრუნველყოფს სილაბუსებში ჩამოთვლილ ძირითად ლიტერატურაზე წვდომას, მათ შორის ქართულ და აფხაზურ ფილოლოგიის რესურსებს. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ საბიბლიოთეკო ფონდი გამდიდრდა წინა აკრედიტაციის პროცესების დროს, როდესაც აფხაზური ლიტერატურა ქართული ფილოლოგიის პროგრამაში მცირე კომპონენტის სახით იყო ჩართული. უნივერსიტეტმა ასევე წარმოადგინა სამკითხველო დარბაზებისა და სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მხარდამჭერი სივრცეების არსებობის დამადასტურებელი მასალა.

დოკუმენტაცია დამატებით მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს წვდომას რამდენიმე საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზასა და სამეცნიერო რესურსზე, მათ შორის HeinOnline-ზე, SAGE Premier-ზე, Duke Journals-ზე, Edward Elgar-ის რესურსებსა და სხვა ელექტრონულ პლატფორმებზე. ასევე, წარმოდგენილი იყო მონაცემთა ბაზის გამოყენების შესახებ სტატისტიკური მონაცემები. თუმცა, მოწოდებული სტატისტიკა შედარებით ზოგადი ჩანს და ნათლად არ აჩვენებს სტუდენტების მიერ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების რეალური გამოყენების ინტენსივობასა და ეფექტურობას. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, მონაცემთა ბაზების გამოყენება არათანმიმდევრულია, ზოგი ბაზა გამოყენებულია მცირედ ან საერთოდ არ ფიქსირდება მისი გამოყენება.

ადგილზე ვიზიტის დროს, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ხშირად აცხადებდნენ, რომ სასწავლო მასალები ფართოდ არის ხელმისაწვდომი ციფრული ფორმით. თუმცა, ბიბლიოთეკაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი საავტორო უფლებების შეზღუდვების გამო, სრულად ვერ აციფრულებს საბიბლიოთეკო მასალებს. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა არსებობს და გარკვეული მასალები გაციფრულებულია, სილაბუსებში მითითებული ყველა ლიტერატურა ელექტრონულად არ არის ხელმისაწვდომი. ამავდროულად, ბიბლიოთეკაში შენახულია ბეჭდური რესურსების მნიშვნელოვანი კოლექცია და სტუდენტებს სთავაზობს სამკითხველო დარბაზებსა და პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელ ფიზიკურ სასწავლო მასალებს.

სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ასევე გამოავლინა საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებისა და სამეცნიერო-კვლევითი პლატფორმების შესახებ ცნობიერების და პრაქტიკული გამოყენების დაბალი დონე.

რამდენიმე შემთხვევაში, სტუდენტები არ იცნობდნენ ისეთ მონაცემთა ბაზებს, როგორიცაა Scopus და სხვა საერთაშორისო აკადემიური საძიებო სისტემები. აღნიშნული მიუთითებს, რომ ელექტრონულ რესურსებზე ტექნიკური წვდომა უზრუნველყოფილია, თუმცა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ბაზები სასწავლო და კვლევით პროცესებში ინტეგრირებული არ არის.

ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაციასა და სტუდენტთა გამოკითხვებში დადებითად არის შეფასებული უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, საბიბლიოთეკო სერვისები და ელექტრონული სისტემები, მათ შორის StudLab პლატფორმა. მიუხედავად ამისა, კვლევის შედეგები ასევე ავლენს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მოდერნიზაციის, კომპიუტერული აღჭურვილობის გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაძლიერების მუდმივ საჭიროებას. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ დამატებითი ტექნიკური აღჭურვილობა და საგანმანათლებლო სივრცეების შემდგომი განახლება გააუმჯობესებდა სასწავლო გარემოს.

საერთო ჯამში, პროგრამა არსებითად შეესაბამება მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას, საბიბლიოთეკო სერვისებს, ტექნიკურ აღჭურვილობას და საინფორმაციო რესურსებს. ამავდროულად, ციფრული რესურსების ხელმისაწვდომობის შემდგომი გაძლიერება, საერთაშორისო მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებული სტუდენტების კვლევითი კომპეტენციების გაუმჯობესება, ტექნიკური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და ელექტრონული სამეცნიერო რესურსების რეალური გამოყენების მონიტორინგის უფრო მკაფიო მექანიზმების შემუშავება კიდევ უფრო გააუმჯობესებდა პროგრამის მხარდამჭერი მატერიალური რესურსების სისტემის ეფექტურობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ბიბლიოთეკის დებულება
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები,
- საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებისა და ელექტრონული რესურსების გამოყენების სტატისტიკა,
- პროგრამის სილაბუსები და სასწავლო მასალები,
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- სასურველია, ელექტრონული სასწავლო რესურსები გახდეს მეტად ხელმისაწვდომი და საავტორო უფლებების რეგულაციების შესაბამისად, გაგრძელდეს სასწავლო მასალების გაციფრულება. ასევე, გაუმჯობესდეს ელექტრონული რესურსებისა და მონაცემთა ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებული სტატისტიკური ანგარიშგების ანალიტიკური ხარისხი და სპეციფიკურობა, რათა უკეთ შეფასდეს მათი ეფექტიანობა და გავლენა საგანმანათლებლო პროცესზე.

- სასურველია, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებისა და ელექტრონული რესურსების ფაქტობრივი გამოყენების მონიტორინგისა და ანალიზის უფრო მკაფიო მექანიზმების შემუშავება.
- სასურველია, გააძლიეროთ საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების, მათ შორის Scopus-ის და მსგავსი პლატფორმების ინტეგრაცია სასწავლო და კვლევით პროცესებში.
- სასურველია, სტუდენტებისთვის საერთაშორისო აკადემიური მონაცემთა ბაზების, ელექტრონული კატალოგებისა და კვლევითი ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ დამატებითი სასწავლო სესიებისა და პრაქტიკული სემინარების ორგანიზება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს სტუდენტების კვლევით კომპეტენციებსა და აკადემიურ წიგნიერებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.4 მატერიალური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი შესაბამისობაშია

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიუჯეტის დოკუმენტაციის ანალიზი და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები აჩვენებს, რომ უნივერსიტეტმა სცადა პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, ქართული ფილოლოგიისა და აფხაზური ფილოლოგიის აქამდე ცალკეული პროგრამების ქართული და აფხაზური ენისა და ლიტერატურის ერთიან საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირებით. ინტერვიუების დროს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროგრამის რესტრუქტურიზაციამდე, ქართული ფილოლოგია ყოველწლიურად დაახლოებით 50 სტუდენტს იღებდა, ხოლო აფხაზური ფილოლოგია - დაახლოებით 5 სტუდენტს. ახალი ინტეგრირებული პროგრამა წელიწადში დაახლოებით 20

სტუდენტის მიღებას გეგმავს, თუმცა მიღების კვოტა ჯერ საბოლოოდ განსაზღვრული არ არის.

წარდგენილი ბიუჯეტის დოკუმენტაცია მიუთითებს, რომ პროგრამა დაფინანსებულია არა მხოლოდ პროგრამიდან გენერირებული სწავლის საფასურით, არამედ ფაკულტეტისა და ინსტიტუციის უფრო ფართო ფინანსური რესურსებით. ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელების საჭიროებების შესაბამის ხარჯებს, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებას, პროფესიული განვითარების აქტივობებს, სამეცნიერო ღონისძიებებს, პუბლიკაციების მხარდაჭერას, ბიბლიოთეკის რესურსებს და სხვა საგანმანათლებლო ხარჯებს. ეს ადასტურებს დაწესებულების ერთგულებას პროგრამის შენარჩუნებისადმი, მიუხედავად აღნიშნული დარგის სპეციფიკური ხასიათისა.

საერთო ჯამში, პროგრამა სრულად შეესაბამება აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებს, ვინაიდან ფინანსური რესურსები გამოიყოფა როგორც პროგრამული, ისე ფაკულტეტის ბიუჯეტებიდან და, ზოგადად, შეესაბამება პროგრამის განხორციელების საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამისა და ფაკულტეტის ბიუჯეტის დოკუმენტები
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.5.პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და	აირჩიეთ შესაბამისი

პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, პროგრამას აქვს კარგად ორგანიზებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის ინსტიტუციურ და ეროვნულ მოთხოვნებს.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მუშაობს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA) ციკლის მიხედვით. ეს ნიშნავს, რომ ხარისხის უზრუნველყოფა არის უწყვეტი პროცესი, რომელიც მოიცავს პროგრამისა და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგს, შეფასებას და შემდგომ გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე და რეგულარულად აფასებს საგანმანათლებლო პროცესებს, აანალიზებს შედეგებს და მუშაობს გამოვლენილი სისუსტეების გაუმჯობესებაზე.

პროგრამის პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასებების განხორციელებისა და შედეგების ანალიზის პროცესში. ეს თანამშრომლობა ხელს უწყობს პროგრამის ეფექტურ შემუშავებას და გაუმჯობესებას მტკიცებულებებსა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

პროგრამის პერსონალი ასევე იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების შედეგებს პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული შეფასების მექანიზმები მოიცავს თვითშეფასებას, გამოკითხვებს, კითხვარებს და გარე შეფასებებს. ეს მექანიზმები უზრუნველყოფს მნიშვნელოვან უკუკავშირს, რომელიც გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის.

თვითშეფასების ანგარიში მომზადდა თანამშრომლობითი პროცესის შედეგად, რომელშიც მონაწილეობდნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ადმინისტრაციული პერსონალი როგორც ფაკულტეტიდან, ასევე უნივერსიტეტიდან. აღნიშნული ასახავს დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას და ხელს უწყობს დაწესებულებაში ხარისხის ძლიერი კულტურის განვითარებას.

დაწესებულების ხარისხის კულტურა ეფუძნება დაინტერესებული მხარეების კმაყოფილებას, გუნდურ მუშაობას, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და პროცესების ეფექტურ მართვას. აღნიშნული ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფა ინტეგრირებულია დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობაში და არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ მოთხოვნას.

გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უწევს კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიურ პერსონალს, რათა საგანმანათლებლო საქმიანობა შეესაბამებოდეს საკანონმდებლო და ინსტიტუციურ სტანდარტებს.

დაწესებულება ასევე აჩვენებს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განუწყვეტლივ გამოიყენება სისუსტეების გამოსავლენად და გაუმჯობესების ზომების განსახორციელებლად. თვითშეფასების პროცესი ეხმარება დაწესებულებას პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის გზების შემუშავებაში, რაც ხელს უწყობს ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას.

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია ძირითადად ხარისხის უზრუნველყოფის ზოგად პროცესებზეა ორიენტირებული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ასევე აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ადაპტირებულია ელექტრონული და დისტანციური სწავლების პროცესების მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამას აქვს ეფექტური და თანამშრომლობითი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ხელს უწყობს უწყვეტ გაუმჯობესებას, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და რეგულარულ მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საბაკალავრო პროგრამების დამტკიცების, დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია
- თვითშეფასების ჯგუფის პროტოკოლები
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია**

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ასახავს გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და გარე შეფასების შედეგების სისტემატურ გამოყენებას პროგრამის განვითარებისა და უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით. დაწესებულების მიერ აღწერილი პროცესები შეესაბამება ეროვნულ საკანონმდებლო

მოთხოვნებს და ხელს უწყობს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას რეგულარული გარე შეფასების, ბენჩმარკინგისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გზით.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. პროგრამა გადის გარე შეფასების პროცედურებს, რომლებიც ეფუძნება საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ეროვნულ რეგულაციებს. პერიოდულად უნივერსიტეტი წარუდგენს თვითშეფასების ანგარიშებს და პროგრამასთან დაკავშირებულ ინფორმაციას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დადგენილი პროცედურებისა და ვადების შესაბამისად. ეს აჩვენებს, რომ პროგრამა რეგულარულად მონაწილეობს გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

პროგრამის პერსონალი აქტიურად განიხილავს და იყენებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების დროს მიღებულ რეკომენდაციებს. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციებს განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი. შემოთავაზებულ ცვლილებებს განიხილავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის საბჭო და შემდგომ კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. პროგრამის ცვლილებებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებებს ამტკიცებს აკადემიური საბჭო და ეცნობება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. აღნიშნული პროცესი ადასტურებს სტრუქტურირებულ და ინსტიტუციონალიზებულ მიდგომას გარე შეფასების შედეგების პროგრამის გაუმჯობესებისთვის გამოყენების მიმართ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ასევე იყენებს დამატებით გარე ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმებს, მათ შორის განმავითარებელ მიზნობრივ კოლეგიალურ შეფასებას, უცხოელი ექსპერტების უკუკავშირს, სამიზნე ნიშნულებს და დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვებს.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს შრომის ბაზრის საჭიროებებს და დამსაქმებლის მოლოდინებს. დამსაქმებლების მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ანალიზი პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესის ნაწილია, რაც ხელს უწყობს პროგრამის შედეგების შესაბამისობასა და მდგრადობას.

პროგრამა ეფექტურად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, აკრედიტაციის რეკომენდაციებს და გარე დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, რათა ხელი შეუწყოს პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას და ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საბაკალავრო პროგრამების დამტკიცების, დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია
- გარე ხარისხის შეფასების დოკუმენტი
- თვითშეფასების პროტოკოლები
- დამსაქმებლების მოთხოვნებისა და შესაბამისი ინფორმაციის ანალიზის დოკუმენტი;
- თვითშეფასების ჯგუფის პროტოკოლები
- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2.გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია**

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული გადახედვის მექანიზმები სისტემატურად ხორციელდება და მოიცავს დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრს. პროგრამის შემუშავების, ხარისხის გაუმჯობესებისა და ეროვნულ და საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულება ახორციელებს უწყვეტ მონიტორინგს, იღებს უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან და მართავს საორიენტაციო აქტივობებს.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, პროგრამის მონიტორინგს პერიოდულად ახორციელებს როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ერთეული, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი. მონიტორინგის პროცესი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან და განათლების ხარისხთან დაკავშირებული ინფორმაციის სისტემატურ შეგროვებას, ანალიზსა და შეფასებას. პროცესში ჩართულია აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და საგნის ექსპერტები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხილვისა და შემუშავებისადმი მონაწილეობით და ინკლუზიურ მიდგომას.

მონიტორინგისა და გადახედვის პროცესის ფარგლებში შემუშავდება რეკომენდაციები, დასკვნები და შესაძლო ცვლილებები, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამის გაუმჯობესებას და უზრუნველყოფს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობას.

პროგრამა ადასტურებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მექანიზმების გამოყენებას ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის, მათ შორის:

• ბიბლიოთეკის რესურსებისა და სასწავლო მასალების შეფასება სასწავლო გეგმებთან და პროგრამის საჭიროებებთან მიმართებაში;

• სტუდენტების გამოკითხვები და კითხვარები სწავლების, კურსებისა და პროგრამის განხორციელების ხარისხის შესახებ;

• კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისგან უკუკავშირის შეგროვება და ანალიზი;

• სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და პროგრამის შემუშავების რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მომზადება;

• პროგრამის დახვეწასა და განვითარებასთან დაკავშირებით ექსპერტების მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება.

მოწოდებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ პროგრამაში ცვლილებები და გაუმჯობესება ხორციელდება შეფასებისა და მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე. ეს ადასტურებს, რომ პროგრამის გადახედვის პროცესი პირდაპირ უწყობს ხელს პროგრამის მოდერნიზაციასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

დაწესებულება ასევე ახორციელებს „ბენჩმარკინგს“, ადგილობრივი და საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან შედარების გზით. ეს პროცესი ხელს უწყობს პროგრამის თანამედროვე აკადემიურ მოთხოვნებთან შესაბამისობას და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრირებას პროგრამის შემუშავებასა და გაუმჯობესებაში.

სტუდენტთა უკუკავშირის მიღების მექანიზმები სისტემურად ხორციელდება კურსის მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ ჩატარებული გამოკითხვებისა და კითხვარების საფუძველზე. სტუდენტები აფასებენ კურსებსა და სწავლების ხარისხს, ხოლო შეგროვებული ინფორმაცია გამოიყენება პროგრამის კომპონენტებისა და სწავლების პრაქტიკის დახვეწისა და გაუმჯობესებისთვის. ეს მიუთითებს, რომ სტუდენტთა მოსაზრებები ინტეგრირებულია პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

პროგრამა ასევე მოიცავს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების აქტუალურობასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას. დაინტერესებული მხარეების მსგავსი ჩართულობა უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას.

პროგრამის ეფექტიანობა ფასდება მრავალმხრივი მონიტორინგის ინდიკატორების გამოყენებით, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის, გამოკითხვის შედეგების, ბენჩმარკინგის შედეგებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშების საფუძველზე. აღნიშნული ანალიზების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება რეკომენდაციების შემუშავება და ხორციელდება პროგრამული ცვლილებები, რაც ადასტურებს უწყვეტი გაუმჯობესების მიდგომის არსებობას.

პროგრამა ხასიათდება ეფექტიანი და სისტემური მონიტორინგისა და გადახედვის მექანიზმებით, რომლებიც მოიცავს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, უკუკავშირის რეგულარულ შეგროვებასა და ანალიზს, ასევე, მონიტორინგის შედეგების გამოყენებას პროგრამის გაუმჯობესების, მოდერნიზაციისა და თანამედროვე აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი
- საბაკალავრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული და აფხაზური ფილოლოგიის კათედრის სხდომის ოქმები
- ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს

  [რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

5.3.პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შესაბამისობაშია**